სანდრო ეფლის ფონდი.

ლექსმი. (მან-ქანაზე ნაბეჭდი.)

1. „ჩვენი ჩიტა."
2. „მიმოლის ლიოზა."
3. „ხნმენა."
4. „ამომჩჩეკლმიან."
5. „ხაჩ ეკონის ჯადოქარი."
6. „ქალია ლლეა."
7. „მზად ლა ფხიზლად"
8. „მიის ჩნიკლმ"
9. „მონოლმა"
10. „ჩიჩკლი ჯომფნა"
11. „სახლი ზენი ისეკ ინაიმ"
12. „ეფენ ჩოფიე"
13. „ფიცი"

25494
~~106~~ 1334/69-81-ρ
13ვ.

25494
~~106~~

ჩვენი პრესა 1334/69

სიტყვა გვქონია აკრძალული,
იგი მაინც ქუხდა რისხვად:
"არ შეუერკეთ ბრძოლას, ძმებო,
მშრომელ ლო მხარე უნდა იხსნათ."
რწმენა ჩვენი მოელვარე
მოწოდების სიტყვად სჭექა,-
ქაქაქაი და სოფლად იგი
ჩვენს ცხოვრებას ახლად სჭედდა...
ჩვენი სიტყვა სარეაფიან
ნათელს ჰფენდა შრომის მხარეს,
გულს მოედო ტანჯულთ შვება,-
ნამოდგენ და გაიხარეს.

მზის სხივებად იღვრებოდა
ამა ქვეყნად ჩვენი პრესა,-
შრომის უბანს ამღერებდა,
უქარვებდა ტანჯულ კვნესას.

დღესაც იგი დღისით მზეა,
და ღამით კი მთვარე მიწის,
სადაც ბნელია იქ ნათელს ჰფენს,
და წყვდიადი მისგან იწვის...

1334/70 2

ბრძოლის დროშა

სადაც ცივა, სადაც ბნელა
სითბო მიგვაქვს და სინათლე,
ბრძოლის ველზე დღეს კვლავ, ღელავ,
გამარჯვების ცეცხლით გვანთებ!
ბრძოლის დროშავ ყველგან წვდები,
გაიშალე, აღიმართე,
წინ გაგვიძეხ და ბრძოლის გზა
შენი შუქით გაგვინათე!...

1/8

1334/71

3

რწმენა

თუნდ ქარიშხალი დაჰქროდეს,
გვაწვიმდეს კოკისპირულად,
თუნდაც ყინავდეს, თუნდ თოვდეს,
რისხავდეს მიწას ცა მტრულად.-
რწმენა გვინათებს გზას მარად
ოცნება მიდიონების,
ჩვენც ვუმღეროდეთ მთა-ბარად
თავისუფლებას მონების!
მხრებით დავსრავთ ზღვას ფართოს,
ფრთებს გავშლით, ზეცას ავწვდებით,
თუნდ მთვარემ არ გაგვინათოს—
მომავლის გზას არ ავცდებით!..

1923.

1334/72 4

ამომრჩევლებთან

ვიცი, თქვენი ხმა — ხმა მშობელ ხალხის,
მე ქვეყნის მსახურს მაკუთვნებს ნდობას;
მე ჩემს ხმას ერთგულ ჰანგებად დავღვრი,
ვუმღერებ ჩემს ხალხს და ხალხთა ძმობას.
ვუმღერებ იმას, ვინც ჩვენ ხმა მოგვცა,
ვინც სხივებს მზისას ქვეყანას ატრქვევს;
ვინც სიყვარულით ხალხმა დაჰკოცნა,
გულით აფარებს მის მზიურ სახელს:
და მეც დღეიდან თქვენგან არჩეულს–
დეპუტატ პოეტს, –"ინჟინერს სულის",
მოსისხლე მტრებთან ბრძოლას დაჩვეულს,
დაუცხრომელ მტერს შავი წარსულის–
გულს ჩაბერვენია თქვენი გულისთქმა
და მზად ვარ ვიდგე მუდამ თქვენს გვერდით,
ვიბრძოლო, ცხვირით შევცვალო სიტყვა,
დავიცვა ჩვენი სამშობლო მკერდით!..

1334/73

ხარ ეკრანის ხადიქარი

/ნატო ვაჩნაძის ხსოვნას/

შენ ისეთი არსება ხარ
უხილავი, ხადიქარი,
ხან გულში ხარ, ხან ცაში ხარ
და ხან მთაზე გადმომდგარი!
მზის სხივებში გახვეული ხარ,
ცეცხლის ალით ანთებული,
ხელოვნების ყველა დარგთა
ხიდად ხარ გადებული!
ჩვენი სულის სამყაროში
სანდომი სკივრს რომ ალებ,
შენ ეკრანის ხადიქარო,
ნეტარებით სულს გვიალებ!..

6

67 56 57
1334/74

ქალთა დღეა

ქალთა დღეა, —
    დედა ხარობს,
        ზეიმობენ დები,
გვიხარია,
    ამ დღეს ვხვდებით
ყველა ნეტარებით.
    ქალთა დღეა, —
        რვა მარტია, —
დებო, გაიხარეთ!
ეს დღე,
    ჩვენ რომ გვინატრია
        ყველამ შეიყვარეთ.
ქალთა დღეა, —
    ზეიმობენ
დედები და დები!
    თქვენთანა ვართ
    ერთათა ვართ
მამები და ძმები!

68
1334/75

~~მზად და ფხიზლად~~

მზად და ფხიზლად

ვისი სული მღელვარეა,
ვისაც ძარღვში სისხლი უჩქეფს,
ვისი რწმენა ელვარეა,
ბრძოლისაკენ გული ურჩევს.

ვისაც რწმენა ფარად აქვს და
ვინც ოქტომბრის მზით გამთბარა,
ვისაც ბრძოლის დროშა მიაქვს,
დასახულ გზას არ ამცდარა,

იყოს მუდამ მზად და ფხიზლად,
მტერს არ სძინავს, მახვილს ლესავს,
დაუსახავს მტრობა მიზნად,
შურს ანთხევს და ბოღმას სთესავს.

ძმებო, ფხიზლად! მზად იყავით!
შორს ხედავდეს თქვენი თვალი,
რწმენისათვის დასდეთ თავი,
თოფში ტყვია! ხელში ხმალი!

1927 წ.

1337/76

მთის არწივებს

/საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობის ღელეგატებს/

საღამი შვიღებს მაღად მთის,
კღღეებში მონავარდეთა,
მოტრფიალეთა მზიან ღღის,
მოყვარულთ გაშღიღ მხარეთა!..
გაშალეთ ფრთები ზვიადნი
შემოესიეთ შავ ორუბელთ,
გაანადგურეთ წყვდიადი,
მედგარნი ბრძოლას გაუძღებთ!..
შიშმა შეიპყრო ჭაობი,
ქვეძრომ ღაეცეს თავზარი,
ნაცარ-მტვრად იქცეს ჭაობი,
ყოველი ნაგავ-ნაყარი!..
საღამი შვიღებს მაღად მთის
კღღეებში მონავარდეთა,
მოტრფიალეთა მზიან ღღის,
მოყვარულთ მშობელ მხარეთა!..

54
70
9/62
9
53
1334/77

მონოდება

ვისაც გული ბრძოლის ცეცხლით
უცემს ვაჟკაცურად,
ვისაც ძარღვში სისხლი უჩქებს
და უღელავს სული,
ესპანეთის გმირ ხალხს ხელი
გაუწრიფს ძმურად,
ჩვენ ხომ ერთი გზა წინ გვიდევს
მიზნად დასახული?!

ესპანეთი, ~~[illegible]~~ ვარ გარტყია
შენ მტრის ცეცხლის რკალი,
შენს მიწაზე სისხლს ატბორებს
გენერალი ფრანკო,
ო, არ შედრკე საბჭოეთის
არ გშორდება თვალი,
რომ შენს ორგული - მოსისხლე მტრებს
რისხვა არ დააკლოს!...

1334/78

10

პირველი კომუნა

ერომ ვერ ეაჩრდილოს ეს მოგონება,
ასე მგონია მომხდარა გუშინ,
მონებს არ სურდათ ყოფნა მონებად,-
შურის ძიება აენთოთ გულში.
ვერსალი მტრულად შეხვდა ამ ამბებს
და ახმაურდნენ მისი ქუჩები.
"როგორ გაბედეს ჩვენმა მონებმა,
რომ ბატონების გახდნენ ურჩები..."
დაიწყო ბრძოლა- პარიზის ქუჩებს
ფარავდათ წითლად სისხლის ღვარები,
მათ მიუშვერდნენ ზარბაზნის ტუჩებს,
იხოცებოდნენ კომუნარები.
ქუხდა ძახილი და მოწოდება:
"ეაჭკრა საათმა, გზა პროლეტარებს.
ამხედრებულა პატიოსნება,-
რისხვად ეაატყდათ ხალხის მტარვალებს.
მებრძოლი გმირი ველზე ეაფცა
და კომუნის მზე თითქოს[illegible] გაცივდა,
მაგამ რომ ისევ იქუხა ზეცამ
კვლავ ოქტომბრის მზით
მიწა გაბრწყინდა.

1337/79 11

სახელი შენი ისევ ინათებს

- - - - - - - - - - - - - - - - -

საღარაჯოზე იგეე ფხიზლად
იმეღიანი,
და როკორც მებრძოლს კქონდა მიზნად
ღუენი მზიანი.
კვჩამდა რომ იყავ ჩვენს რიკებში
მტერთან მეღკარი,
ვით ჯარისკაცი თოფით ხელში
შეუპოვარი,
ღუეს კი ეს ღუენი მზიანი
და ღითხანს ნატრული
შენთვის ბნელია, ღრუბლიანი
და მოჩამლული,
მაკრამ სახელი შენი ისევ
მუდამ ინათებს
შენი ბრძოლის ხმა ისევ კვესმის,-
ძალას კვიმატებს.

1334/80 7B 12

ეჯენ პოტიე

ვ.ი. ლენინი ეჯენ პოტიეს "ინტერნაციონალის" ავტორს უწოდებდა უდიდეს პროპაგანდისტს სიმღერის საშუალებით."

შენ უმღეროდი მომავად ლროს,
მრომის ლიდებას
და ყველა მშრომელი- ტანჯვაში მყოფი,-
ჩელში მოხრიდებს,
შენ უმღეროდი, ვივი ოფლით
სხვები მდიდრდება
ვინც ბრძოლით პოვებს თავის უფლებას
კარგავს ბორკილებს
შენი სიმღერა გულებს უნათებს
თავდადებულებს,
შენ უმღეროდი ყველა მებრძოლი
ქვეყნის ერთგულებს,
ბედნიერებას რომ უქმნიდნენ
მომავად ლროსა,
მოუწოდებდნენ მებრძოლი: " მაღლა
ამართეთ ლროშა.."

13

61

74

1334/81-ჩ

ფიცი

~~ოქტომბრის 21 წლისთავს~~

გვახსოვს დღეები, იგი დღეები
ყველა დღეებში გამორჩეული...
გვახსოვს დროშათა ხშირი ტყეები,
მედროშე გმირი, ბრძოლას ჩვეული.

მტერთა ბუნაგი—ზამთრის სასახლე
და პეტროგრადის ფართო ქუჩების
შეუპოვარი, მრისხანე სახე...
დევნა, სასჯელი ყველა „ურჩების“,

ვინც ძველ სამყაროს გადასდგომოდა,
ვისაც უფეთქდა ბრძოლაში გული,
ვისაც რწმენა და იმედი ჰქონდა
სულის სიღრმიდან ამორკინული...

ვფიცავთ დიადი რწმენის ანთებას,
(რაა სიცოცხლე რწმენის გარეშე?!)
მტერს არ ვაღირსებთ დღის გათენებას
და იგი ჩვენში ვერ ითარეშებს...

ვფიცავთ [illegible] ბრწყინვალე სახეს
და სიამაყეს სამშობლო დედის,
ვფიცავთ მზესავით ნათელს მის სახელს
და მოკაშკაშე ვარსკვლავს იმედის,

წინ, ბრძოლით, სისხლი მტრის რომ იღვაროს,
დაე, ქვეყანამ მსხვერპლი გაიღოს,
მხოლოდ სამშობლომ ჩვენმა იხაროს,
მ[illegible]ი ბელადი დღეგრძელი იყოს!.